

ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის

ოქმი № 5

24.07.2018 წელი

ქ.ლაგოდეხი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე: კახა ჯამბურია

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები(რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის)

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი ღამბაშიძე

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი: გიორგი მესხიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი: მათა სიუკაშვილი

სახალხო დამცველის აპარატის საკონტაქტო პირი კახეთში: ეკა გოგაშვილი

**დღის წესრიგი:**

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დაზუსტებული ვარიანტის განხილვა
2. გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2018 წელს განსახორციელებელი აქტივობების განხილვა
3. გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანა
4. გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის ცვლილება

**მოისმინეს:**

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა განიხილეს ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა და მიმდინარე წელს განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები.

**დაადგინეს:**

1. სამოქმედო გეგმის თანახმად, განხორციელდეს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთა გადამზადება შემდგომში მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ორგანიზაციებსა და თემებში ტრენინგი- სემინარების ჩასატარებლად.
2. ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით, მომზადდეს ბუკლეტები მოსახლეობაში გასავრცელებლად.
3. ასახული იქნას გენდერული ასპექტები 2019 წლის ბიუჯეტში(გენდერული ბიუჯეტირება).


მოსმინეს:

გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებისა და შემადგენლობის ცვლილების შესახებ.

დაადგინეს:

მომზადდეს სამართლებრივი აქტები აღნიშნული ცვლილებების განსახორციელებლად.


გენდერული თანასწორობის საბჭოს

თავმჯდომარე: 

/კახა ჯამბურია/

გენდერული თანასწორობის საბჭოს

მდივანი:



/თამარ მუმლაძე/